№ 139

ხუთშაბათი, 28 ივნისი, 1901 წ.

**ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ" ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227.

1877—1901

# ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

№ 139

ხუთშაბათი, 28 ივნისი, 1901 წ.

რედაქცია ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ" ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227.

ᲡᲐᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელიწადი მეოცე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენის.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1901—1902 სასწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ჰ. მანუელიანცს, ტფილის. (24—133—5)

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ" ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

ვისაც სურს, პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

ახალი სასტუმრო ბულვარის გვერდით, ანდრონიკაშვილის სახლებში

„ᲑᲔᲚᲕᲘᲣ".

დასავლეთით სასტუმრო დაჰყურებს ქალაქის ბაღს, სამხრეთით სობოროს მიდამოს და მოჩანს უხიმერიონის მთა თავისის ისტორიულის ნანგრევებით. სასტუმრო მშვენივრად არის მორთული. სამაგალითო სამზარეულო აქვს და ზრდილობიანი მოსამსახურენი ჰყავს. მოქმედებას დაიწყებს 1901 წლის 1 ივლისს. (3—6.—3)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკია ში. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

ᲓᲘᲚᲐᲝᲑᲘᲗ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ფ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ც. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

გ. ი. გელდიაშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ზ. კარაშვცაიანცი. 1—$1^1/_2$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲝᲑᲘᲗ:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არზანიანცი. 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра

**Навасардіана.**

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

მიხეილ გედევანიშვილისა,

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

ᲓᲘᲚᲘᲗ:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მუდიანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. ჰ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. მატინოვი—თვალის 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

გ. დ. მარკევიჩი—საქირურგო—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 ს.

ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲗᲘ:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბედოგოლოვი—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

ᲙᲕᲘᲠᲐᲝᲑᲘᲗ:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

## ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ხელმწიფე იმპერატორმა 8 ივნისს უმაღლესად დაამტკიცა უწმინდესის სინოდის უქვეშევრდომილესი მოხსენება, რომლითაც ყოვლად სამღვდელო გრიგოლი დათხოვნილ იქმნა მოსკოვის სინოდალურ კანტორის წევრის თანამდებობიდგან.

დანიშნულ იქმნა ვლადიმირის გუბერნატორთან მყოფი საგანგებო მინდობილებათა უმცროსი მოხელე თავ. ვახვახიშვილი ვლადიმირისავე გუბერნიის პოკროვის მაზრის მე-5 ნაწილის ერობის უფროსად.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის შუამდგომლობის თანახმად უმაღლესად ნება-დართულ იქმნა გადაიდოს ერთი მილიონი მანეთი ალსტაფა-ევლახ-აჯიქაბულ-ბალაჯარის სადგურებს შუა მეორე ლიანდაგის გაყვანის დასაჩქარებლად.

*** 25 ივნისს ბაქოელ ნოქრებს ერთხელ კიდევ აღუძრავთ შუამდგომლობა კვირა-უქმეობით შესვენების შესახებ. ბ-ნ გუბერნატორს უცნობებია, რომ ეს საქმე გადაწყვეტილია და განკარგულებაცაა მოხდენილი კვირა-უქმეობით განსაზღვრულ მუშაობის შესახებაო.

*** როგორც ტფილისის პოლიცმეისტრის წლიურის ანგარიშიდგანა სჩანს, ტფილისში 1900 წელს ყოფილა სულ 263 ქარხანა, სადაც მუშაობდა სულ 5,377 კაცი.

*** თელავის მაზრის მემამულე თავ. ქობულიშვილი თურმე 10 დესეტინა მიწას უთმობს საბღოსნო სკოლას, თუ ეს სკოლა თელავის მაზრაში იქმნება გადატანილი.

*** გუშინ-წინ თავად-აზნაურთა ბანკის სადგომში სავაჭრო ამხანაგობის „შუამავლის" წევრთ კრება

---

# ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

### „ᲥᲣᲠᲓᲘ ᲥᲐᲚᲘ"

**მოთხრობა დე-რონისა**

იმ დროს მე ერთის ახალგაზრდა და გაუგებარ ქალის საქმროდ ვითვლებოდი, ამასთან უუბედნიერეს საქმროდაც. იგი ცოტას ლაპარაკობდა, რაღაც საიდუმლოებით მოცული, სიამოვნებით შეჰქმნიდა ხოლმე ათასს გვარ საჭირ-ვარამო საგნების გამო საიდუმლოებას; ამასთანავე ისე ძრიელ უყვარდა განმარტოვება, რომ გულში შიშს მიბადავდა. ისეთი ლამაზი თვალები, მომხიბლავი და გამომეტყველი სახე ჰქონდა, რომ თავისთვის ძალა ვერ დამეტანებინა, რათა იმისი არა ჩვეულებრივი ხასიათი გამეგო და გამეჩხია. იგი ისე ძრიელ მიყვარდა, რომ მზათ ვიყავ დანით დამეკლა, თუ კი ჩემი არ გახდებოდა. მთელ ღამეებს იმის კარებ წინ ვატარებდი, „ის აქა სცხოვრობს"-მეთქი, ვფიქრობდი განუწყვეტლივ; ისევე ვიყავ ფიქრებში გართული, ისევე მაგონდებოდა ის, როგორც კეთილ მორწმუნეს იმ ქვეყნის დიდება აგონდება ხოლმე. ამასთანავე არ ვიყავ დარწმუნებული, ვუყვარდი თუ არა: ყოველს ჩემს კითხვას იმისავე შესახებ უპასუხოდ სტოვებდა და მეუბნებოდა, ჩემი სურვილი დედმამის ნებაა, იმათ კეთილ მოსაზრებაზეა ჩემი ბედი დამოკიდებულიო. როცა აღარ მოვეშვებოდი და მინდოდა გამეგო იმისი გულის თქმა, ამ სიტყვებს მეტყოდა ხოლმე: „სხვა არაფერი ვიცი, მხოლოდ სიძულვილს შენდამი არა ვგრძნობ; ეს კი, ვგონებ, ახალგაზდა ქალისთვის საკმაოა, რომ ცოლობაზედ დაითანხმო"-ო. ამაოდ ვეხვეწებოდი და ვცდილობდი გამემხნევებინა როგორმე ეს საიდუმლო არსება: იგი ჩემთვის იმდენად გამოუცნობელი დარჩა, რამდენადაც ძლიერი იყო ჩემი მისდამი სიყვარული.

* * *

ერთს საღამოს, როდესაც დაღონებული ფიქრებში გართული ვიდექ, სახლში რაღაცა ხმაურობა ასტყდა. იმ წამს სასტუმრო ოთახში დავბრუნდი, სადაც არა ჩვეულებრივი მოძრაობა იყო. სახლის უფროსები აღელვებულნი იყვნენ, მეგობრები ნაწყენნი და შემკრთალნი, მოხუცებული ქალი დესპარი-კი საშინლად გაფითრებული და აკანკალებული.

— რა მოხდა? ვიკითხე სწრაფად.

ნაწყვეტ-ნაწყვეტად გავიგე, რომ ქ-ნ დესპარის საგვარეულო ძვირფასი ბრილიანტები დაეკარგნა; მოსამსახურენი ის იყო მეორე ოთახში დაემწყვდიათ გასაჩხრეკად. მოხუცებული დე-ლა-გესტრი ერთ ხმად ამ საქმის გამომძიებლად იქმნა არჩეული სწორედ იმ დროს, როდესაც ოთახში შევდიოდი. მოგვმართა იმან და გვითხრა, რომ ყველანი დავმორჩილებოდით, ან თვით ჩვენ მიგვეცა ნება გაჩხრეკისა. თუმცა ეს ამბავი არ გვესიამოვნა, მაგრამ მაინც წინააღმდეგობა არავის გაუწევია. გადასწყვიტეს მოსამსახურეების შემდეგ ყველას გაჩხრეკა, ვინც-კი ჩვენს ოთახში იმყოფებოდა.

* * *

სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ ამ შემთხვევას ისე დიდი მნიშვნელობა არ მივეცი, როგორც ჩემს პირად მზრუნველობას, ჩემის მეგობრებით ველოდებოდი ამ ამბის გათავებას, ვიდრე დე-ლა-გესტრი ორის მოწმის და ჩვენის სახლის უფროსის თანადასწრებით მოსამსახურეების ჩხრეკას არ შეუდგა. მალე ფიქრებს მივეცი თავი, თანაც ბუხარს დავაშტერე თვალები, როდესაც ნიდაყვზედ ხელის დაკვრა ვიგრძენ; თავი სწრაფად მაღლა ავიღე და ჩემ წინ ჩემი საცოლო დავინახე, რომლის სახეც ხვეწნით მიცქეროდა! ბუხრის წინ ვიდექით, შეგვეძლო ჩუმად გველაპარაკნა, ისე, რომ ვერავის ვერაფერი გაეგონა. ქალმა ჩურჩულით მომმართა:

— თუ გიყვარვარ, მოახერხე, შენ გაგჩხრიკონ პირველად... ისე მოახერხე, რომ ჩემს ახლო იყო და სწრაფად გამომართვა ის, რასაც მოგაწოდებ...

სისხლი გამიშრა ძარღვებში. უსიამოვნო შემთხვევა საშინელ, გამოურკვეველ ტანჯვად მექცეოდა. შეწუხებული შევხედე ახალგაზდა ქალს, თუმცა ამავე დროს ვცდილობდი მხიარულად მეჩვენებინა თავი და თანაც წავჩურჩულე:

— თქვენი ნება აღსრულებული იქმნება.

მუხლებმა კანკალი დამიწყეს, პირში ნერწყვი გამიშრა და ტანი ცეცხლივით ამენთო. ის გრძნობა, რომელმაც ამიტანა, გამოუთქმელი იყო. ამ წამმა საშინლად შემაწუხა, მაგრამ ამავე დროს გამოურკვეველი სიამოვნებაც ვიგრძენ იმის გამო, რომ ჩემი მბრძანებელი ამ მდგომარეობამდის მისულიყო. ჩემს თავს ძალას ვატანდი, მინდოდა ზიზღი გამომეწვია, ნამდვილად-კი ჩემს გულში ძრიელი, გამოუთქმელი სიყვარული ენთო. ერთ წამს ყველაფერს მივხვდი, გავიგე, სილამაზეს სადამდე შეუძლიან მიაღწიოს.

ჟანნამ მადლობა გადამიხადა ოდნავ ტუჩების განძრევით. იგი კედელთან ახლოს იდგა უზრუნველად და ამაყის სახის გამომეტყველებით.

— ძალიან იგვიანებენ!—მითხრა იმან.

— ბ-ნი დე-ლა-გესტრი დაკვირვებული კაცია,—შენიშნა ვიღამაც.

ჩამოვარდა ისევ სიჩუმე, რამდენიც დრო მიდიოდა, იმდენი უფრო ძნელი ასატანი ხდებოდა ჩემთვის ამ გვარ მდგომარეობაში ყოფნა; ტვინის ძაფები მეჭიმებოდა და თავ-

ჰქონდათ. რადგანაც კრებას წევრნი საკმაოდ არ დაესწრნენ და აღძრული კითხვები ამხანაგობის ყოფნა-არყოფნას შეეხებოდნენ, ამიტომ კრება, თანახმად კრების თავმჯდომარის წინადადებისა, 6 ივლისისათვის გადაიდო.

⁂ როგორც კრებაზედ აღმოჩნდა სავაჭრო ამხანაგობის „შუამავლის“ ძველსა და ახალს გამგეობას გაცემული ჰქონია სხვა-და-სხვა კაცებზედ: ძველს გამგეობას—2,618 მან., ხოლო ახალს—982 მან. 69 კაპ., მაგრამ დღემდის ვერც ერთი კაპეიკი ვერ აუღიათ. ამ გარემოებას საზოგადოებამ თავმჯდომარის ბ-ნ ა. ფურცელაძის წინადადებით ყურადღება მიაქცია და დაადგინა: თუ ვინიცობაა ამხანაგობას წაღებულ სანოვაგის ფასს დროზედ არ გადუხდიან მოვალეები, მაშინ მათ ამ ფულს გაზეთის საშუალებით მოსთხოვენ.

⁂ ქიათურის საურთიერთო საკრედიტო ბანკი მომავალის თვის 2 რიცხვიდგან დაიწყებს მოქმედებას.

⁂ შაბათს, 30 ივნისს, ტფილისის ქალაქის გამგეობის დარბაზში სხდომა ექმნება ქალაქის საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც დავალებული აქვს შეიმუშაოს წესი, თუ საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის შესრულის სახსოვრად განზრახულ საიუბილეო დღესასწაულობაში ქალაქმა რა მონაწილეობა უნდა მიიღოს.

⁂ ტფილისის თავად-აზნაურთა სააღგილ-მამულო ბანკის მიერ გამოცხადებულ იყო 1901 წ. 27 ივნისისათვის საჯარო გასასყიდად იგი მამულები, რომელზედაც ირიცხება მოკლე ვადიანი სესხი და რომელთ პატრონთაგან ბანკში ვალის შესატანი არ შეუტანიათ. ამათგან გაიყიდა ცამეტი მამული 22,991 მანეთად და 25 კაპ. ამ მამულებზე თავნი ვალი იყო 9,916 მანეთი. ორი მამული არ გაიყიდა და გასასყიდად გადიდვა 12 ივლისისათვის.

⁂ დღეს, 28 ივნისს, საღამოს 8 საათზედ, ქალაქის სასწავლებელთა კომისიას ქალაქის გამგეობის სადგომში თავისს მიმდინარე საქმეების განსახილველად სხდომა ექნება. სხვათა შორის, კომისია განიხილავს შემდეგს საქმეებს: 1, ქალაქის ექვს პირველ-დაწყებითს სკოლაში მასწავლებელთა თავისუფალ ადგილებზედ არჩევანით ვინ იქმნეს მიღებული; 2, მოხსენებას იმის შესახებ, რომ ქალაქის სასწავლებელთათვის საპედაგოგიო მუზეუმი იქმნეს დაარსებული; 4, შუამდგომლობას ქ-ნის გაბაშვილისას, რომ ყოველ წლიურად ტფილისის კერძო საპროფესიონალო სახელოსნოს, ფულით დახმარება აღმოეჩინოს, და შუამდგომლობას ტფილისის მასწავლებელ ქალთა საზოგადოებისას და სხვა. კომისიას განსახილველად სულ 11 საქმე აქვს.

⁂ ორშაბათს, 2 ივლისს, 1-ლ გიმნაზიის მოსწავლენი, მასწავლებლის ზდანევიჩის ხელმძღვანელობით, ჩაქვაში მიემგზავრებიან ადგილობრივ ჩაის პლანტაციების დასათვალიერებლად. შემდეგ ბათუმს, სოხუმსა და ახალ-ათონის მონასტერს დაათვალიერებენ და ერთის კვირის შემდეგ უკან ტფილისშივე დაბრუნდებიან.

⁂ სატყეო დეპარტამენტმა განუმარტა კავკასიის სატყეო კომიტეტს, რომ დასაცველ ტყეებში სრულიად უნდა აიკრძალოს არამცთუ ხე-ტყის ჭრა, არამედ ნადირობაცა.

⁂ ტფილისის საკომერციო სასწავლებლის სამზრუნველოს ამ სასწავლებლისათვის ენფიაჯიანცის სახლი (ჩუღურეთში) შეუძენია 210,000 მანეთად.

⁂ 25 ივნისს მოხდა შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა, ხმოსნებისა, ბეითალთა და უფროს სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველისა ქალაქის ხორცის სავაჭრო დუქნების დაარსების შესახებ მოსალაპარაკებლად. კრებამ სცნო, რომ ხორცის დუქნების დასაარსებლად საჭირო არ არის ქალაქს ჰყავდეს სამუდამოდ დიდი ჯოგი საქონლისა. ამის ნაცვლად ერთი რიგიანი მყიდველი ეყოლება, რომელიც საკმაო საქონელს მიაწვდის ქალაქს. კრებამ საჭიროდ არა სცნო აგრეთვე საქონლის ფასის დაწესება მთელის წლის განმავლობაში. ქალაქს 20 დღის საკმარისი საქონელი უნდა ჰყავდეს, ე. ი. 500 სული, რომელთა შესანახად ავლაბრისა და კუკიის აგარაკებში ქალაქს საკუთარი საძოვარი უნდა ჰქონდეს, ხოლო ქალაქის საყასბოს მახლობლად—სათივე ეზო 50—100 სულ საქონლისათვის. ამ საქმის მოწესრიგება მიენდო უფროსს სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველსა და ბეითალს კანცელმახერს. კრებამ დაადგინა, ჯერ-ჯერობით გამართოს ერთი მთავარი დუქანი, რომლის ხარჯთ-აღრიცხვაც უკვე დამტკიცებულ იქმნა.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერს შეუნიშნავს, რომ ებრაელი ხელოსნები, რომელნიც ტფილისში სცხოვრობენ სახელოსნო მოწმობებით, ხსნიან თავიანთ სახელოსნოებთან მაღაზიებს, ვაჭრობენ არა საკუთარის ნაწარმოებით და ხშირად სულაც არ ხელოსნობენ. კანონით-კი ებრაელებს იმ შემთხვევაში შეუძლიანთ სამყოფელ ადგილის გარეშე ცხოვრების უფლება, თუ რაიმე ხელოსნობას მისდევენ. ამის გამო ტფილისის პოლიცმეისტერმა 25 ივნისს დაავალა ბოქაულებს, აიძულონ ებრაელები ერთის თვის განმავლობაში დაჰყიდონ არა საკუთარი ნაწარმოებნი და თავისი ხელობა დაიწყონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ტფილისიდგან გაგზავნილნი იქმნებიან, რადგანაც მათ არა აქვთ უფლება ამ ქალაქში ცხოვრებისა. ამასთანავე შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით და ტფილისის გუბერნატორის მიწერილობით ბ-ნმა პოლიცმეისტერმა დაავალა ბოქაულებს, წარუდგინონ ცნობები, თუ რამდენი ებრაელი სცხოვრობს ტფილისში: მეაფთიაქის თანაშემწენი, დანტისტები, ფერშლები, ბებიები და აგრეთვე ისინი, ვინც სწავლობენ ფარმაციას, საფერშლო და საბებიო საქმეს.

⁂ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ მე-6 ნომერი. შინაარსი ამ ნომრისა: 1, ყმაწვილის სიმღერა, ლექსი დ. თომაშვილისა; 2, დასჯილი უსამართლობა, გუგუნია ტატიშვილისა; 3, დედა ფუტკრის ნაამბობი (დასას.), ა. წულაძისა; 4, ყვავილების გვირგვინი, თარგ. ს. ციციშვილისა; 5, დიტოს ძველი ქუდი ვინ მოიხმარა, კახ-იმერლისა; 6, სპილო და ვეფხვი, რუსულიდგან ს. ციციშვილისა; 7, დედი ჯან, მოთხრ. (თარგ.), გ. წერეთლისა; 8, ბაქტერიები ანუ ბაცილები, ი. გომართელისა; 9, ქვის საუკუნის ბავშვები (შემდეგი), ეგ. მესხისა; 10, წვრილმანი: აკროსტიხი, ანდაზები, ანაგრამა, გამოცანები და სხვანი.

⁂ 25 ივნისს სამტრედიაში ვაგონებს შუა მოჰყვა და სასიკვდილოდ დაშავდა. გლეხი თომა ქართველიშვილი.

⁂ 25 ივნისს განჯის სადგურში დეპოს მუშა სუხათაშვილი მილის გაწმენდის დროს ორთქლმავალზედ დაეცა და დაშავდა.

⁂ ახალ-სენაკი. 24 ივნისს სად. ახალ-სენაკის მახლობლად რკინის გზის ლიანდაგთან 14—15 წ. ყმაწვილი ხარს აძოვებდა; ხარი რკინის გზის ლიანდაგზედ ავიდა. ამ დროს ყმაწვილმა შენიშნა ფოთიდგან მომავალი სახალხო მატარებელი და ხარის გადადენა მოინდომა, მაგრამ საბრალოს მატარებელმა მოასწრო და მძიმედ დააშავა. მატარებელი რამდენსამე წუთს შეაჩერეს და დაშავებული ყმაწვილი მატარებლით წამოიყვანეს, მაგრამ სად. აბაშამდის სული განუტევა.

## კავკასიის მომავალი გამოფენა.

გამოფენის სამრეწველო განყოფილების გამგე გ. ადელხანოვი ამ დღეებში მიიწვევს ადგილობრივ მრეწველთა და ქარხნის პატრონთა გამოფენაზედ სამრეწველო განყოფილების მოწყობის შესახებ მოსალაპარაკებლად.

მკითხველებს ეხსომებათ, რომ ტფილისის სავაჭრო ბანკმა გამოფენის გასამართავად საჭირო თანხის გასაძლიერებლად 1000 მან. შემწეობა აღუთქვა გამოფენის უმთავრესს კომიტეტს. ამ დღეებში კომიტეტმა ეს ფულები უკვე მიიღო.

კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის კომისარს თავ. ანდრონიკაშვილს სწერს ქ. გუმბრის ქალაქის მოურავი, რომ წასულის წლის 28 დეკემბრის სხდომაზედ ქალაქის საბჭომ გარდასწყვიტა გამოფენის გასამართავად უმთავრესს კომიტეტს 200 მანეთით შემწეობა აღმოუჩინოს, მაგრამ რადგანაც საგუბერნიო სამმართველოს ქალაქის საქმეთა საკრებულომ საბჭოს დადგენილება დაარღვია, ამიტომ ველარავითარს შემწეობას ვერ აღმოგიჩენთო.

გამოფენის კომისარმა თავ. ანდრონიკაშვილმა გუშინ მოსკოვის ფრინველთა-მომშენებელ საზოგადოების საბჭოსაგან 2 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი მიიღო, რომ ფრინველთა მომშენებელ განყოფილებაში საუკეთესო ექსპონატების წარმომადგენელნი დააჯილდოვონ.

ამიერ-კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხეებიდან გამოფენის კომისარს ყოველ დღე სხვა-და-სხვა დაწესებულებათა და კაცთაგან გამოფენისათვის ექსპონატები მოსდის უკვე.

## ცნობები მეაბრეშუმეობის შესახებ.

წრევანდელი აბრეშუმის მოსავალი ჩვენში და საზღვარ-გარედ.

აბრეშუმის ანუ პარკის მოსავალი, როგორც მეურნეობის ყოველ გვარ ნაწარმოებისა, დიდად დამოკიდებულია ტაროსზე. წრევანდელი [illegible] ნეობში ახირებული [illegible] რის. ჩვენში ნამეტანი უზამთრობა, ხმელი და ცხელი ნახევარი იანვრისა, მთელად თებერვალი და მარტი წარმოადგენენ იმის წინააღმდეგს, რაც იყო ევროპის იმ ქვეყნებში, სადაც მეაბრეშუმეობას მისდევენ, იტალიასა და საფრანგეთში. ნაადრევმა გაზაფხულმა აქ თუ ყველაფერი დააადრა, იქ სუსხიანმა ზამთარმა და მერე გამუდმებულმა წვიმებმა ყველაფერი დააგვიანა. აბრეშუმიც აქ ორი-სამი კვირით ადრე გამოვიდა, იქ-კი ამოდენივე ხნით დაგვიანდა. სამაგიეროდ იქ დაგვიანებულ ჭიას აპრილში საკმაოდ ზომიერი ჰავა დაუდგა. ამან დაჰბადა იქ გადაჭარბებული იმედი დიდის მოსავლისა. იგივე იმედი ჩაუნერგა ჩვენებურ მეაბრეშუმეებს აქ კარგ ტაროსებში წელ-გამაგრებულმა ჭიამ. მაგრამ აპრილის და მაისის აქაურმა გამუდმებულმა წვიმებმა შეუშალა ჭიას დაჩქარებული ზრდა და პარკის მოსავალი მაისის ბოლომდის დააგვიანა. ბოლოს არეულმა ტაროსებმა ესეც არ აკმარა მეაბრეშუმეებს. წვიმებს მოჰყვა შუა მაისის შემდეგ ნამდვილი კვირიკობისთვის ცხელი დღეები ზენა ქარით (აღმ. ხმელი ქარი) და იმ დროს, როცა ყველა არა ჩვეულებრივ დიდ მოსავალს მოელოდა, ხელში დარჩათ შარშანდელ მოსავალს ორი მესამედი და ისიც ნაკლებბის ღირსებისა *)

სწორედ ესევე მოუვიდა პარკის მოსავალს საზღვარ-გარედაც. რამდენადაც ცნობილია დღეს, იტალიაში შარშანდელ მოსავალზედ სულ ცოტა ერთი მეხუთედით ნაკლებია. პარკიც წონაში მჩატე მოდიოდა.

პარკის მოსავალი ჩვენში და საზღვარ-გარედ სწორედ ერთ დროს მომივიდა. როგორც აქ, იქაც გვიან გაიგეს მოსავლის ნაკლებულობა. პირველად აქაც და იქაც ნედლი პარკის ფასი დაბალი იყო. ბოლოს აქ რვა მანეთიდგან ცამეტამდისაც ავიდა, იქ-კი თორმეტიდგან თვრამეტამდის აიწია. წასულის წლის ხმელი პარკის ფასიც დღეს იქ წინანდელზე მომატებულია—კილო პარკი ცხრა ფრანკამდის ფასობს. იაპონიის და ჩინეთის (მეორე) მოსავლის შედეგები ჯერ გათვალისწინებული არ არის, ამიტომ არ შეიძლება ითქვას, თუ რამოდენად შესაძლებელია ფასების აწევა.

ნ. წ.

## წერილი ტობანიერიდგან

(ქუთაისის მაზრა)

(დასასრული *)

ივნისის ორს ჩვენში დ. სამტრედიიდგან სამტრედიის საბოქაულოს მმართველი ბ-ნი მახარაძე მობრძანდა და ამ დღესვე საზოგადოების კრება მოხდა. „ივერიის“ მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ამ ორის წლის წინად ტობანიერის საზოგადოების მამასახლისი მათე გეგიძე უეცრად გარდაიცვალა. ყველამ იცოდა, რომ განსვენებული გეგიძე დიდი სარცხვილ-ნამუსის კაცი იყო და საზოგადოებას 15 წლიწადი პატიოსნად ემსახუ-

*) არ შეიძლება აქ არ შევნიშნოთ, რომ ჩვენში არსებობს სააბრეშუმო სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც მოვალე უნდა იყოს თვალყური ადევნოს ჭიის ზრდას ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეში, მიკროსკოპით ხელში სინჯოს და თავ-თავის დროზე აცნობოს საზოგადოებას, თუ სად რა სენმა ჭიისამ იჩინა თავი, სად რომელმა თესლმა იხეირა, თუ დაიკლო და რა მიზეზებით და სხვა, მაგრამ ჩვენ ასეთს მისს მოქმედებას ვერა ვხედავთ. ავტ.

*) იხ. „ივერია“, № 134.

---

ში ანთება მომდიოდა. დადგა ის წამიც, როდესაც მოსამსახურენი გასჩხრიკეს. გაიღო კარები და სახლის პატრონი, დე-ლა-გესტრი ორის მოწმით გამოჩნდა.

გული საშინლად მიღელავდა. ვგრძნობდი, რომ ფერი სრულიად მეკარგებოდა. მაგრამ ჩემ თავს ძალა დავატანე და დავძლიე შეკრთომა, ხმა მოვიმაგრე და ვსთხოვე, ყველაზედ ადრე მე გავეჩხრიკეთ.

დე-ლა-გესტრმა ახალგაზრდურ მოუთმენლობაში ჩამომართვა და დალაგებით გამსინჯა.

მე ხან ვწითლდებოდი, ხან ვფითრდებოდი, მაგრამ გულშიაც არავის გაუვლია რისამე მიზეზად ჩაეთვალა ეს. როდესაც გამჩხრიკა, ორისამი ნაბიჯი უკან გადავდგი და ჟანნას მივუახლოვდი. იმან მარაო ძირს დ უშვა, მოუხერხებლის სისწრაფით რაღაც ნივთი გამომიწოდა, რომლის გამორთმევაც აჩქარებით ვერ მოვახერხე. შემდეგ ბუხარს მივეყრდენ, როგორც უბრალო მაცქერალი, ყოველ ეჭვისაგან თავისუფალი. დე-ლა-გესტრის ჩხრეკამ ვერაფერი გააწყო. ეხლა მხოლოდ ოთახის გაჩხრეკა და პოლიციისათვის შეტყობინება-ღა რჩებოდა.

⁂

ჩემი მღელვარება თანდათან იზრდებოდა. ბუხრის წინ დარჩენა თავს ბრუს მასხავდა. ვგრძნობდი ამ „ნივთის“ საშინელ სიმძიმეს, ვგრძნობდი, რომ „დანაშაულის“ მატარებელი გავხდი.

ჟანნა დინჯის ნაბიჯით მომიახლოვდა და დამასაჩუქრა დიდის ხნის ცქერით, რომელმაც უცეცხლოდ დამწვა. შემდეგ წყნარის, მაგრამ ბრძანების კილოთი მკითხა:

— თქვენ ისევ გიყვარვართ?

არ დავყოყმანებულვარ, გაბედვით ვუთხარი:

— დიახ.

— იმის შემდეგ, რაც ჩავიდინე?

— იმის შემდეგ, რაც ჩაიდინეთ.

— ცოლად შემირთავთ?

— შეგირთავთ.

ეხლა უფრო დაბეჯითებით, უფრო ძრიელად გადამავლო თვალი. ბედნიერად ვიგრძენ თავი ამ ორგვარ შემთხვევით, ძალა არ შემწევდა იმდენად, რომ თავი დამეხსნა ამ მდგომარეობიდგან, რის გამოც ჩემს თავს ვესაყვედურებოდი, საშინელი შერცხვენა გამოვცადე. ასეთ ფიქრებში მყოფს შემომესმა დე-ლა-გესტრის ხმა, რომელსაც ხელში პატარა ყუთი ეჭირა:—აი ბრილიანტები და დამნაშავეც აქ არის!—დაიძახა დინჯის ხმით.

ძლივს მოვასწარ ამ სიტყვების გაგონება, ხეირიანად ვერც-კი შევხედე ლაქიის აღიმულ ბედნიერ სახეს, რომ ჟანნამ აივანზე ბნელაში გამაქანა. წამს ორივ ხელი კისერზე მომხვია, თავის წმინდა ტუჩები ჩემს ტუჩებს მიაწება და წამჩურჩულა:—„ქურდი ქალი“ გიღმერთებს.

ოჰ, ძვირფასო ქურდო ქალო! გამოუცნობელია იმ ქალის გული, რომელსაც ამ წამიდგან ხშირად ჩასთვლემია ჩემს გულზედ, რომლის არსებაც ჩემს არსებასთან ერთ სულად და ერთ ხორცად გარდაიქცა, ის წუთიერი ტანჯვის წამები, ეჭვი, ჩემი დამორჩილება მის დანაშაულის წინაშე ჩემს ძარღვებში აღიბეჭდნენ და ყოველთვის რაღაცა ძალით ახლად ჩნდებოდნენ ხოლმე ალფრთოვანებულ ალერსში, სიყვარულის კოცნაში!

ალ. სათაშვილი

რებოდა, მაგრამ მისის გარდაცვალების შემდეგ აღმოჩნდა, რომ სახელმწიფო ფული 500 მანეთი გაფლანგული იყო. ამის გამო ზოგი მამასახლისს სთვლიდა დამნაშავედ, ზოგი ფულის ამკრებლებს და ზოგიც სოფლის მწერალს. ასე იყო თუ ისე, დღემდის საქმე მოურკვეველი იყო; მაგრამ დღეს-კი მთავრობა თხოულობს, რომ ფულები შეტანილი იქმნეს. საზოგადოებამ ითხოვა, ეს ფულები ხარჯის ამკრებლებსა და მამასახლისის ქვრივ-ობლებს გარდაჰხდეს. აი, ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენში ბოქაული მობრძანდა. იგი სცდილობდა ჩაეგონებინა როგორმე ხალხისათვის, რომ შეძლებისა და გვარად შეწიოულება მოეხდინათ და გარდაცვალებულის მამასახლისის ქვრივი და სამი მცირე-წლოვანი ობოლი ამ ფულის გარდახდისაგან გაენთავისუფლებინათ. მთელი ერთი საათი ებაასა ხალხსა და უცდიდა სთხოვდა ქვრივ-ობლების შეღავათს მდგომარეობაში შესულიყვნენ, რადგანაც ისინი აქ დანაშაულნი არ იყვნენ, თავისს მხრივაც ბოქაულმა ერთი თუმანი შეწირულება გამოიღო, მაგრამ არ იქმნა და არა უმადურმა საზოგადოებამ 15 წლის უსასყიდლოდ სამსახური გეგიძისა არ დააფასა, მისი უკიდურესს მდგომარეობაში მყოფნი ქვრივ-ობლნი არ შეიწყალა და ყველამ, ჩვენის საზოგადოების ცნობილ „ვექილების“ მოხებით, უარი განაცხადა. ბოქაულმა ხელ-ახლად ურჩია ყველას თავ-თავიანთს გულში ჩაეხედნათ და უდანაშაულო ქვრივ-ობლნი შეებრალებინათ, მაგრამ მათი გული გერასფერმა ვერ გაალბო და უთვალავმა რჩევამ და მუდარამ ჟქმად ჩაუარა. იმ დღესვე, სადამოზედ ბოქაული სამტრედიაში წაბრძანდა. მხოლოდ მეორე დღეს და გაიძახოდა ზოგიერთი, „ცუდად მოვიქეცით, რომ ბოქაულის სიტყვები არ შევისმინეთო!“

—

25 მაისს ჩვენს ორ-კლასიანს სამინისტრო სასწავლებელში წლიური გამოცდა დაიწყო მასწავლებლებისა; პირველის ოთხი განყოფილების მოსწავლეების გამოცდა მოახდინეს თვითონ ადგილობრივმა მასწავლებლებმა, რომელიც დაამთავრეს ივნისის 5-ს და კიდევაც დაითხოვეს იმავე დღესვე. მეორე კლასის უკანასკნელი, ესე იგი, მეხუთე განყოფილების კურსის დასამთავრებელი გამოცდა 14 ივნისს მოხდა. გამოცდა მოახდინეს: ხონის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორმა ბ-ნმა პროკოფიევმა, ივან-დიდის ორ-კლასიან სამინისტრო სასწავლებლის ზედამხედველმა გლ. მაჭარაძემ, ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელმა ბენ. მამფორიამ, ბლადოჩინმა მღ. იუსტ. მამფორიამა და ადგილობრივმა მასწავლებლებმა. იმ დღეს გამოცდას უნდა დასწრებოდა ქუთაისის გუბერნიის საერო სასწავლებლების ინსპექტორი ბ-ნი მაჭავარიანი, მაგრამ სამსახურისა გამო ვეღარ მოასწრო მობრძანება. მოსწავლეები გამოცდილ იქმნენ: სადმრთო რჯულში, რუსულ ენაში გრამატიკითურთ, არითმეტიკაში, გეომეტრიაში, სამოქალაქო ისტორიაში, გეოგრაფიაში, ქართულს ენაში—გრამატიკითურთ, ქართულს და რუსულს წერაში და ხატვაში. გამოცდამ ჩინებულად ჩაიარა. მოსწავლეები რიცხვით სულ 7 იყვნენ; ამათში კარგად გაათავა ხუთმა, რომლებსაც ხონის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორმა ზოგს მეოთხე და ზოგს მესამე კლასში მიღება აღუთქვა.

პირველი ოთხი განყოფილების მოსწავლეების გამოცდის დროს უფრო სუსტნი აღმოჩნდნენ პირველის განყოფილების მოსწავლენი, რაც უნდა მივაწეროთ მასწავლებლის მიერ არაკეთილ-სინიდისიერად მოვალეობის შესრულებას.

—

18 ივნისამდე ჩვენკენ კარგი ამინდები იდგა. მართალია, ერთხანად საშინელი სიცხეები ჰაიჰარა, მაგრამ დრო-გამოშვებით სადამ-სადამოობით წვიმაც გვაგრილებდა; სიმინდები მშვენიერი გვქონდა. 18 ივნისს, სადამოს შუადის ნახევარზედ ცა შავი ღრუბლებით დაიფარა, მოჰყვა საშინელი ელვა-ჭექა-ქუხილი და ბოლოს დაჰბერა ყოველი მხრიდგან ქარმა და დაასხა კოკისპირული წვიმა. ერთის საათის განმავლობაში დედამიწა ყველგან წყლით დაიფარა, მოვარდა მდინარე ყუმური და აქაურობა მთლად გადარეცხა, მოიტაცა ხიდი, დასილა ყანები და სასწავლებლის ეზოც ერთი ჩარექის სიმაღლეზედ. ერთი სიტყვით, მუშა ხალხს ამ წვიმამ დიდი ზარალი მიაყენა: სიმინდის ყანები მთლად დედამიწაზედ დაავინა, შინაური საქონელი ბევრი დაარჩო და ერთი კაციც იმსხვერპლა.

ვლადო ბზვანელი

# რუსეთი

—

რეფორმა იუნკერთა სასწავლებლებსაც შეეხო. 5 ივნისს უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა ბრძანება იუნკერთა სასწავლებლების გადაკეთების შესახებ, სადაც შემდეგი ცვლილებანი მოხდება: 1, იუნკერთა სასწავ. გადაკეთებული იქმნება სამ კლასიანად; ერთი კლასი საზოგადო განათლებისა იქმნება, ორი სპეციალური; საზოგადო განათლ. კლასის პროგრამა იგივე იქნება, რაც 6 კლასიან საშუალო სასწავლებლებშია. 2, მიიღებენ სასწავლებელში „ვოლნოოპრედელიაიუშჩს“ გარდა იმ ახალგაზდებსაც, რომელთაც 1 და 2 ხარისხის „ვოლნოოპ.“-ის უფლებანი აქვთ; მათთვის სავალდებულო არ არის სასწავლებელში შესვლამდე ჯარში სამსახური. 3, 1901 წელს შემსვლელთ მიიღებენ მხოლოდ საზოგადო განათლების კლასში, 1902 წ. ამ კლასსა და პირველ სპეციალურში, ხოლო 1903-დგან სამივე კლასში. 4, მოსწავლეთა მიღება შემდეგის წესით მოხდება: 1) საზოგადო განათლების კლასში მიიღებენ: ა) გამოსაცდელ ეგზამენის დაჭერის შემდეგ ყველა იმას, ვისაც განათლებით 1 ხარისხის „ვოლნოოპრ.“ უფლებანი აქვს, მაგრამ სამხედრო სასწ. შესვლის ნება კი არა აქვს და ბ) ვინც ეგზამენს დაიჭერს სამხედრო მინისტრის მიერ დამტკიცებულ პროგრამით; 2) პირველ სპეციალურ კლასში მიიღებიან: ა) უეგზამენოთ ვისაც აქვს მოწმობა იმ საშუალო სასწავლებლების დამთავრებისა, რომელნიც სამხედრო სასწავლებელში შესვლის უფლებას ანიჭებენ; ბ) ეგზამენით რუსულ ენასა, მათემატიკასა და ფიზიკაში (იუნკერთა სასწ. საზოგადო განათლების კლასის პროგრამით) იმათ, ვისაც განათლებით 1 ხარისხის „ვოლნოოპრ.“ უფლებანი აქვს და სამხედრო სასწავლებელში შესვლა კი არ შეუძლიან და გ) იმათ, ვინც ეგზამენს დაიჭერს ყველა საგანში ხაზვისა და წესდებათა გარდა; და 3) მე-2 სპეციალურს კლასში მიიღებიან ისინი, ვინც ეგზამენს დაიჭერს იმ საგნებში, რომლებსაც საზოგადო და 1 სპეციალურ კლასებში გადიან.

მსურველთ თხოვნები პირველ ივლისამდე უნდა შეიტანონ; ეგზამენების დასაჭერად-კი სასწავლებელში გამოცხადდენ 15 აგვისტოსათვის. ქვეითა იუნკრის სასწავლებელში შესულნი ყველანი სახელმწიფოდ მიიღებიან. დამთავრებულთა შესახებ ეს წესები იქმნება: ვინც პირველ ხარისხით დაამთავრებს, იმას პოდპორუჩიკის ჩინი მიეცემა და ერთის წლის ნამსახურობა ჩაეთვლება, ვინც მეორე ხარისხით—მხოლოდ პოდპორუჩიკის ჩინი, ვინც მესამე ხარისხით—უნტერ-აფიცრის ჩინი, ამასთან ეძლევა უფლება პოდპორ. ჩინის მიღებისა.

— როგორც ვუწყით, ამას წინად დამთავრდა მოლაპარაკება საკომერციო განათლების საქმის მოწყობის შესახებ. მეორედ მოლაპარაკება დაიწყება 1902 წლის 3 იანვარს. განსახილველია შემდეგი საგნები: 1, ქალთა საკომერციო განათლება; 2, დაბალ სავაჭრო სკოლების გამრავლება; 3, საკომერციო სასწავლებლების უფლებანი; 4, მასწავლებლების მომზადება საკომერციო სასწავლებლებისათვის.

— ამას წინად დაიბეჭდა „მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მოქმედების ანგარიში 1900 წლის 30 მარტიდგან 1901 წლის 30 მარტამდე“. ანგარიშში ჩამოთვლილია ყველა ის, რაც სამინისტრომ წლის განმავლობაში გააკეთა და აგრეთვე ის, რისაც გაკეთებაც განზრახული აქვს. სამინისტროს მომავალ მოქმედების ერთ უმთავრესს საგნად დაუსახავს სასოფლო სამეურნეო სასწავლებელთა დაარსება (განზრახულია ესეთ სასწავლებელთა დაარსება პსკოვსა, დონსა, ციმბირსკსა, ომსკსა, ტაშკენტსა და სხვაგან). ამას გარდა სამინისტროს აზრად აქვს ახლო მომავალში წარადგინოს დასამტკიცებლად საბოლოოდ შემუშავებული პროექტი „საზოგადო დებულებისა სასოფლო-სამეურნეო განათლების შესახებ“, შეამუშავოს დონის-ძიებანი საქონლის მოვლა-მოშენების გასაძლიერებლად და სამაგალითო მინდვრების კასამართავად, გაადვილოს სოფლის ნაწარმოებზედ სესხის გაცემის საქმე, გააუმჯობესოს და გააწეს-რიგოს სარწყავ არხების გაყვანის საქმე და სხვ. შემდეგ სამინისტროს აზრად აქვს აგრეთვე უფრო მხნედ განაგრძოს კავკასიაში გადმოსახლებულთათვის მიწების მიზომვისა და დამიჯნვისა, აგრეთვე ამიერ-კავკასიის სახაზინო გლეხთა მიწების მოწეს-რიგების საქმე; შეიმუშაოს წესები ტყეების მოვლა-შენახვისა. სამთო-სამადნო საქმეების მოწყობაც გადაუწყვეტია სამინისტროს. აზრადა აქვს, სხვათა შორის, ნავთისა და ოქროს წარმოების საქმე ახალის კანონებით გააწეს-რიგოს და სხვანი.

# უცხოეთი

გერმანია. ის-კი იყო გერმანელებმა მხნედ დაიწყეს მეცადინეობა, რომ საფრანგეთიდგან ფულის პატრონებს თავისი სიმდიდრე და თავისუფალი თანხა გერმანიის ბანკებში შეეტანათ შესანახად, რომ მოწმენდილი ცა საფინანსო სამთავროისა უცბად მოიქუშა და რამდენიმე ბანკი ერთად გაკოტრდა. სხვათა შორის, გაკოტრებულად გამოცხადდა უძველესი და უხუცესი ბანკი ლეიპციგისა, რომელსაც დიდად საპატიო ადგილი ეჭირა. ამბობენ, ავდარმა და ქუხილმა ატეხა იცისო და მართლაც ასრე გამოდგა: საჭირო იყო იქ, გერმანიაში, რამდენიმე ბანკი გაკოტრებულიყო და მაშინვე რუსეთშიაც ორმა ასეთმა შემთხვევამ იჩინა თავი: ხარკოვისა და იაროსლავისამ. მაგრამ ამ ჟამად მკითხველის ყურადღება გვსურს უცხოეთის ბანკს მივაქციოთ.

გაიგეს თუ არა ეს ამბავი საფრანგეთში, ჟურნალ-გაზეთებმა მაშინვე სიხარულით აღნიშნეს ის გარემოება, რომ საფრანგეთის ერის სიმდიდრე აჩნიშნულს ბანკში არ მოხვდა და ღალუპვას გადარჩა. ამას შემდეგ ერი გაფრთხილებული იქმნებაო.

ლეიპციგის ბანკის ძირითადს თანხას 48,000,000 მარკა შეადგენდა ამ ბოლოს დროს. გაზ. „Temps“-ი ამის შესახებ ამბობს, რომ საფრანგეთში მხოლოდ ოთხი ბანკი იყო, რომელსაც ლეიპციგისაზედ მეტი თანხა ჰქონდაო, სახელდობრ: „Banque de Paris et des Pays-Bos“, Comption d' Ecçompte“, „Crèdit Lyonnais“ და „Sociètè gènèrale“. ლეიპციგის ბანკში 10 მილიონის დეპოზიტი ინახებოდა საქსონიის სახელმწიფო ლატარიისა. ერთი მხრივ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ლეიპციგის ბანკის ნდობა ყველას დიდი ჰქონდაო. საქსონიის სახელმწიფო მოხელეთა გარდაწყვეტილებამ: ლეიპციგის ბანკს ამ გაჭირვებაში არავითარი დახმარება არ აღმოუჩინოთო, საქსონიის კაპიტალისტები დიდად გააკვირვა. ლეიპციგის ბანკის გაკოტრება უმთავრესად იმან გამოიწვია, რომ ბანკს სხვა-და-სხვა სამრეწველო წარმოებაში დიდი მონაწილეობა ჰქონდა მიღებული, რომელთაგანაც ბევრი სრულიად არ იყო უზრუნველყოფილი. მაგალითად, ბანკმა ძგრედ წოდებულს კესელის თხლის გამხმობს საზოგადოებას „Treberntrocknung. sanstalt“-სა და სხვა მისს მინაგვარს ქარხნებს 85 მილ. მარკა მისცა სესხად.

ლეიპციგის ბანკმა ბევრს ბურდოს გამხმობს ქარხანას მოუწყო ხელი, რადგანაც გამხმარი თხლე საქონლის საკვებად საუკეთესო საშუალება თურმე და დიდს მოგებას იძლევა. ასე რომ განზრახვაც-კი ჰქონდათ ასეთ ქარხნებისაგან შემდეგ კავშირი შეედგინათ და საქვეყნო წარმოებაში დიდი ადგილი დაეჭირათ. ამატომაც ბანკს ყველგან დიდი საქმეები თურმე ჰქონდა დაჭერილი და ეხლა გერმანიაში სხვა საფინანსო დაწესებულებასაც დიდს ზარალს მოელიან.

# დამაკვირდი

საკმაო არ არის კაცმა ცოდნა შეიძინოს: ისიც უნდა იცოდეს, როგორ გასცეს იგი სამატებლად.

პენინი

* * *

ვაჟკაცობა იმისათვის გვაქვს, რომ ჩვენსას ვუპატრონოთ და სხვისას მოვერიდნეთ.

* * *

საშინელი დასასრული სჯობს დაუსრულებელ შიშსა.

შილი

# ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

საოცარ მეხის ამბავს გვიამბობს გაზეთი „ურალეცი“. 9 მაისს ურალსკში მშვენიერი დღე ყოფილა. ამ დღეს ადგილობრივი ახალგაზდობა სიმღერითა და თამაშობით ქუჩაში გასულა. სადამოს 5 საათზედ უეცრად ცა შეღრუბლულა; შორიდგან ქუხილის ხმა მოისმა თურმე. ახალგაზდანი, რიცხვით 21 ქალი და კაცი, ჩერაკაევის სახლის დერეფანში შესულან. ერთი 17 წლის ქალი, სახელად ბარბარე, კარების დირეზედ ჩამომჯდარა. უეცრად საშინელი მეხის ხმა მოისმა თურმე. როდესაც რამდენისამე წუთის შემდეგ მცხოვრებნი ჩერაკაევის სახლის წინ შეკრებილან, მათ შემდეგი სურათი უნახავთ: ახალგაზდა ქალი ბარბარე მშვიდობიანად დირეზედ იჯდა თურმე, თავი გულზედ დაეშვა, თითქოს სძინავსო. სხვანი ზოგი ეზოში დადიოდა უაზროდ, ზოგი დერეფანში იჯდა და გაშტერებული ერთ წერტილს მისჩერებოდა, ზოგი კიდევ არხეინად წამოწოლილი იყო. ბარბარე, როდესაც გასინჯეს, მკვდარი აღმოჩნდა თურმე. არავითარი ჭრილობა არ ეტყობოდა ტანზედ, მხოლოდ კისრიდგან დაწყებული ფეხებამდე ზურგზედ შავი ზოლი ჰქონია ჩავლებული. დანარჩენთ ზოგს ფეხი ჰქონდა ოდნავ დამწვარი, ზოგს ხელი და ზოგს კიდევ რა. ამასთან ყველას სმენა დაუკარგნია, ყველანი, ერთის კაცის გარდა, დაყრუებულან თურმე. აი ამ კაცს რა უამბნია შემდეგ: როდესაც მეხის ხმა მოისმა, კარების პირდაპირ ჰაერში თეთრი ბურთი გაჩნდა; ნელ-ნელა ეს ბურთი გამოემართა დერეფნისაკენ, სადაც ჩვენ ვისხედით. მალე იგი ბარბარეს თავს შეეხო, მერე სხვა ყმაწვილის თავზედ გადაფრინდა და ჩვენ შუა მიწაზედ დაეშვა. რა მოხდა შემდეგ, აღარ მახსოვსო. როდესაც სახლი გაუჩხრეკიათ, აღმოჩნდა, რომ ბურთს კარები გაუხვრეტნია და შიგნით შევარდნილა ოთახში, სადაც სახლის პატრონი წოლილა. იქ მწოლარე სახლის პატრონის ფეხს შეჰხებია და დაუწვია იგი, რისგანაც გამწარებული კაცი ფეხზედ წამოჭრილა. შემდეგ ბურთს ოთახში მიუვლ-მოუვლია, კედელი გაუხეთქია და მეორე ოთახში გასულა, იქ ბუხარში შესულა და სადღაც დამალულა. ავადმყოფნი ყველანი დადიან თურმე, ორის გარდა, რომელნიც წვანან. როგორც ზემოდაცა ვთქვით, ყველანი დაყრუებულან თურმე.

* * *

ბერლინელებს აზრადა აქვთ თურმე თვითეულ სახლში მხოლოდ თითო სამზარეულო გამართონ. დღეს, როგორც ვუწყით, ყოველ სადგომს ცალკე სამზარეულო აქვს, ასე რომ ხშირად დიდ სახლში ოცი და ოცდა ათი სამზარეულოა. შეიძლება ერთ დიდ სამზარეულოში ყველა მდგმურებისათვის მომზადდეს ხოლმე საჭმელი; ხარჯი ბევრად ნაკლები იქმნება.

* * *

ერთ გერმანელს, გვარად ვოლფშლანგს გარცის მთებში „კონსერვატორია“ გაუმართავს თურმე იადონებისათვის. ვოლფშლანგი ამ კონსერვატორიაში წვრთნის და გალობაში ავარჯიშებს იადონებს. გაზეთები არ გადმოგვცემენ თვით ეს წრთვნა და ვარჯიში როგორ სწარმოებს. „ფრინველთა პროფესორი“ ჭამა-სმასაც დიდ ყურადღებას აქცევს თურმე; ზომიერად აჭმევს იადონებს, რომ არ გასუქდნენ და ხმა არ წაუხდეთ.

* * *

როგორც ვენური გაზეთები გადმოგვცემენ, ტიროლში ძალიან გამრავლებული ყოფილა შხამიანი გველები. ადგილობრივმა ლანტაგმა კარგა ხანია დაადგინა დააჯილდოვოს ხოლმე ისინი, ვინც გველს მოჰკლავს. თითო მოკლულ გველში პკვლელს 60 გალლერი ეძლევა. 1900 წელს მთავრობისათვის 1,135 მოკლულის გველის თავი წარუდგენიათ, აქედგან 884 შხამიანი ყოფილა. 1896-დგან 1899 წლამდე გველების დახოცვისათვის მთავრობას გაუცია ჯილდოდ 3,678 კრონი.

* * *

საყურადღებო ცნობებს გადმოგვცემს ბრაზილიის ტყეების ქვემძრომთა და ცხოველთა შესახებ ერთი ინჟინერი, რომელიც ამ ჟამად ბრაზილიაში მუშაობს, ბაიას პროვინციაში, სადაც რკინის გზა გაჰყავთ. ინჟინერის სიტყვით, ამ პროვინ-

ციის ტყეები სავსეა გველებით, რომელთა შორის ბევრი შხამიანია. ერთ გველს, სხვებზედ უფრო საშიშსა და მოუსვენარს, ადგილობრივნი მცხოვრებნი „სურუკუკუს“ ეძახიან. სურუკუკუ უზარმაზარი გველია, რომელიც თავისს ხვრელს მხოლოდ შუადღისას ანებებს თავს და სანადიროდ მიდის. საღამოთი დაბრუნებისას ხანგრძლივის სტვენით აგებინებს თავისს მეუღლეს დაბრუნებას; ისიც ამ გვარისავე სტვენით აძლევს პასუხს. „ბოას“ ჯიშის გველთა შორის ყველაზედ საშიში „სუკურინია“ უზარმაზარი გველი, რომლის სიგრძეც ხშირად 5—7 საჟენამდე უწევს ხოლმე. ეს გველი გარეულ ხარებსა და კამეჩებსაც-კი ერთ წუთში მოუღებს ხოლმე ბოლოს. ეს გველი მდინმრისა და ტბის ძირში იმალება; კუდით იგი ხის ფესვებს ეჭიდება; როდესაც რომელიმე ნადირი წყლის დასალევად მივა, სტაცებს წყლიდგან პირს, შემოეხვევა კისერზედ და წყალში ჩაითრევს. გამოხმაურება სხვა გველებთან ამ სუკურინმაც იცის. ადგილობრივი მცხოვრებნი მშვენივრად აჯავრებენ ამ გველის ხმას. როდესაც ყწალში გასვლა უნდათ, დაიწყებენ ხოლმე გველურად ხმაურობას; თუ წყალში გველია, იგი ხმას გასცემს და მაშინ მგზავრნი სხვა გასასვლელს ეძებენ. როგორც იგივე ინჟენერი გადმოგვცემს, ბრაზილიის ტყეებში სცხოვრობს აგრეთვე ერთგვარი ხვლიკი, რომელიც საოცრად აჯავრებს თურმე ფრინვლის გალობას.

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

**26 ივნისი.**

**პეტერბურგი.** „კანონთა დებულებაში“ გამოქვეყნებულია: 1) რომ 1-ლ იანვრიდგან 1901 წლისა ფოსტა-ტელეგრაფის უწყების მოხელეთა ჯამაგირიდგან 6% გამორიცხვა და აგრეთვე სასადილო ფულისა შეწყვეტილია; 2) წესი იმისა, თუ ფოსტა-ტელეგრაფის უწყების მოხელეთა ჯამაგირიდგან საპენსიო კასსის შესადგენად გამორიცხულ ფულის განაწილება როგორ უნდა სწარმოებდეს.

თანახმად მინისტრთა კომიტეტის დებულებისა, ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესადა ჰბრძანა: 1) ფოსტა-ტელეგრაფის უწყების მოხელეთ, როგორც ამ ჟამად მსახურთ, ისრე გარიცხულებსა და დათხოვნილებს, რომელნიც საპენსიო კასის შედგენაში მონაწილეობას იღებდნენ, 1888 წლ. 1-ლ იანვრიდგან საპენსიო ფონდის გასაძლიერებლად შეტანილი ფული უსარგებლოთ უკანვე დაუბრუნდეთ; 2) ფული, რომელიც უკვე გარდაცვალებულს მოხელეებს ეკუთვნის, მათს კანონიერს მემკვიდრეებს მიეცეთ; 3) სარგებლიდგან, რომელიც ფოსტა-ტელეგრაფის უწყების საპენსიო კასის თანხის სარგებლიანს ქაღალდებს ერგებათ, ერთი ნაწილი იმ ნაკლს მოჰხმარდეს, რომელიც აღნიშნულ ქაღალდების ბირჟაზედ გასყიდვას მოჰყვება კასის მონაწილეთა დასაკმაყოფილებლად, ხოლო დანარჩენი ნაწილიდგან დაარსდეს ეგრედ წოდებული ხელუხლებელი თანხა ფოსტა-ტელეგრაფის უწყების მოხელეთათვის და იგი თანხა ფოსტისა და ტელეგრაფების მთავარ სამმართველოს სპეციალურ თანხებს მიეწეროს, როგორც ამას არსებული წესი და რიგი მოითხოვს; 4) თუ რომ ამ ვადიდგან ორის წლის განმავლობაში აღნიშნულს ფულს რაიმე მიზეზით ზოგიერთი არ მოითხოვს და არ გაიტანს, მაშინ ეს დარჩენილი ფული ამ ხელუხლებს თანხას მიემატოს, მაგრამ ისე-კი, რომ შეეძლოთ კანონით არსებულ საეროვო საზოგადო ვადის განმავლობაში კუთვნილი ფული კიდევ მოითხოვონ და 5) შინაგან საქმეთა მინისტრს ნება მიეცეს: ა) დაწვრილებითი წესრიგი და ვადა შეიმუშაოს, რომლითაც ამ ფულის გატანის დროს უნდა იხელმძღვანელონ; ბ) საპენსიო თანხასვე მიეწეროს 10,000 მან. ხარჯი, რომელიც კასის მონაწილეთა ანგარიშების შედგენასა და საზოგადოდ ამ საქმის გაუქმების საქმის წარმოებას დასჭირდება, იმ პირობით, რომ, თუ ეს თანხა საკმარისი არ იქმნება, მისდა მოსამატებლადა და გასაძლიერებლად მინისტრთა კომიტეტს მოჰხსენდეს, და გ) მინისტრთა კომიტეტსვე გარდაეცეს განსახილველად, თავისი მოსაზრებანი წარმოადგინოს, თუ ამ ახალის დებულებით შემდგარის ხელ-უხლებელ თანხის სარგებელი რას უნდა მოჰხმარდეს.

**ოდესსა.** დიდმა მთავარმა ალექსანდრე მიხეილის ძემ დღეს ოდესსის ნავთ-სადგური ინახულა და გაიცნო, თუ მას რა საჭიროებანი აქვს, ან როგორ უნდა იქმნეს გადაკეთებული; გარდა ამისა, ინახულა აგრეთვე ეგრედ წოდებული სამხედრო დროის საჭიროებათათვის საყოლ მტრედების სადგური.

**გროდნა.** დიდი სიცხეების შემდეგ საკმაოდ აგრილდა.

**ვარშავა.** კაშიბის გზის გაყვანის საქმე საჩქაროთ მიდის. მალე სამუშაო მატარებლები ლოვიჩამდის ივლიან.

**მოსკოვი.** მოსკოვში გოგოლის ძეგლის დამდგმელს კომიტეტს საკონკურსოთ შემდეგი პირობები დაუგზავნია: ძეგლი უნდა წარმოადგენდეს ბრონძისაგან გამოქანდაკებულს მწერალს, მჯდომარეს, იმ ტანისამოსით, რომელსაც გოგოლის დროსა ხმარობდნენ; ძეგლს არავითარი ალეგორიული სახეები და ბარელიეფები არ ექმნება. მასალა უნდა იხმარონ—ჯავარიანი კლდის ქვა, პორფირი და ბრონძი. პირველ პროექტათ ნაცნობს, ანუ საუკეთესოს, ჯილდოთ მიეცემა ათას-ხუთასი მანეთი, მეორეს—ათასი, ხოლო მესამეს—ხუთასი მანეთი. პროექტები ქალაქის საბჭოს ამ წლის 30 დეკემბრამდე უნდა წარუდგინონ.

**კიევი.** პურის მკა კიევის გუბერნიაში ჩვეულებრივზედ ათი დღით ადრე დაიწყო. ივნისის დასაწყისში პირველი ანეულები მოიმკო. შემოდგომის ნათესები და ქერები 14—18 ივნისს გაიჭრა. შემდეგ ჭვავების მკასაც შეუდგნენ. რადომისლის მაზრისა გარდა, მთელს გუბერნიაში შემოდგომის ნათეს პურების მოსავალს კარგს მოელიან, დესიატინაზედ 125—200 ფუთს; შემოდგომის ჭვავებისასაც საშუალოზედ ნაკლებს მოსავალს არ მოელიან; მოსავალს ცხელმა ქარებმა დიდი ზარალი მისცა. ბალახი ყველგან გაითიბა და კარგიც მოვიდა. მუშა ხელი ძლიერ გაძვირდა. 15 გრადუსი სიცხეა; ცა მოღრუბლულია; ყოველ-დღე წვიმებია.

**ხარკოვი.** ადგილობრივის სადგილ-მამულო ბანკის აქციების პატრონების საგანგებო კრება სავრედიტო ნაწილის განსაკუთრებულ კომისსიის დირექტორის მოადგილის პეტროვის თავმჯდომარეობით დაიწყო; კრებაზედ გამოცხადდა 102 აქციების პატრონი, რომელთაც 197 საკუთარი ხმა აქვთ და 99 სხვათაგან მინდობილი. თავმჯდომარემ აუხსნა დამსწრეთ, თუ რამ აიძულა მთავრობა, რომ ამ არა ჩვეულებრივს დროს კრება მოეწვია და შემდეგ გააცნო მოხსენება გოლუბევისა, რომელიც მან ბანკის რევიზიის შემდეგ ფინანსთა მინისტრს წარუდგინა. კამათი დაიწყეს მოხსენების ზოგიერთა კითხვების შესახებ. გამგეობა სცდილობდა მოხსენების დასკვნა ზარალის რაოდენობისა და მასსივის შესახებ შეემსუბუქებინა როგორმე და ზოგიერთა ანგარიშები, რომლებიც ნამდვილს არ უდგებოდნენ, ანგარიშის წარმოებაში შეპარულ შეცდომებით აეხსნა. რევიზიის მოხსენებიდგან სხვა-და-სხვა წვრილმანების შესახებ გამგეობას დაეკითხნენ. გამგეობა ამტკიცებს, რომ რევიზორმა ბანკის ნამდვილი მდგომარეობა ერთობ სამწუხაროდ დახატა. საქმის კვლავ განსაგრძობადა და საწარმოებლად საჭიროა არა 6.000,000, არამედ 2.300,000 მან. ზოგიერთი აქციის პატრონები საჭიროდ სთვლიდნენ, ამ წვრიმალებისათვის თავი დაენებებინათ, ახალი გამგეობა აერჩიათ და ამისთვის მიენდოთ ახალი ანგარიში შეედგინათ, ხოლო ამის შემდეგ მოეწვიათ ახალი კრება და განსახილველად წარედგინათ, თუ შემდეგში რა გეგმით უნდა ემოქმედნათ. კრება საღამოს 10 საათამდე იქმნა შეწყვეტილი. საზოგადოდ კრების სხდომამ 4 საათამდე გასტანა.

**ხარკოვი.** გამგეობის წევრებათ ამორჩეულ იქმნენ: ვ. რიაბუშინსკი, ანტროპოვი, დ. ალჩევსკი და კორენევი, ხოლო კანდიდატებათ: მ. რიაბუშინსკი, კოლიჩევი და ნ. ალჩევსკი. კრება დილის 5 საათზედ დაიშალა. გამგეობის მეექვსე წევრს ფინანსთა მინისტრი დანიშნავს.

სავაჭრო ბანკში 90,000 კუპონი ალექსეევის საზოგადოებისა აღმოჩნდა, რომლებიც ალჩევსკის ეკუთვნის და ჯერ გასტუმრებული არ არის; ამ რიგად აქტივში ამ თანხით მეტია ნაჩვენები. სავაჭრო ბანკზედ კონკურსი არ იქმნება დანიშნული. სალიკვიდაციო კომისსია თავისს საქმეს მალე შეუდგება. ძველი მსახურნი თავისს ადგილებზედ დარჩნენ. ბანკში დაგირავებულ ქაღალდების კურსის აწევით აქტივი გამაგრდება, მაგრამ აქციონერთა თანხა მთლად დაიკარგება.

**27 ივნისი.**

**პეტერბურგი.** სახალხო განათლების მინისტრი რამდენისამე ხნით პეტერბურგიდგან სხვაგან წავიდა და სამინისტროს გამგეობა თავის ამხანაგს სენატორს მეშჩანინოვს ჩააბარა.

პეტერბურგის ქალაქის გამგეობამ დაადგინა იშუამდგომლოს: 1) ინგლისის ზღვის პირის ქუჩის ერთს ნაწილს სენატის შენობიდგან დაწყებული ვიდრე ნიკოლოზის ხიდამდე სკობელევის სახელი უწოდოს; 2) მ. დ. სკობელევს პეტერბურგში ძეგლი დაუდგან, პეტერბურგის მხარის მოედანზედ, რომელიც ტროიცკის ხიდის ყურეზედ გამოდის; 3) ამ ძეგლისათვის მთელს რუსეთში ხელის მოწერა გაიმართოს, პეტერბურგმა თავის მხრივ 25,000 მან. გადასდოს.

**ხარკოვი.** სადგილ-მამულო ბანკის აქციების პატრონთა საღამოს კრებაზედ გამგეობას ნება დაერთო ვადიან ფულის შესატანად საჭირო თანხა სახელმწიფო ბანკიდგან იქმნეს სესხათ აღებული, რომლის შესახებაც ფინანსთა მინისტრმა პრინციპიალურად თანხმობა განაცხადა; სესხის პირობები გამგეობამ უნდა შეიმუშაოს. განზრახვა აქვთ სამის თვის შემდეგ ბანკის საქმეებისა და მისის ზარალის განსახილველადა და ამ ზარალის შესავსებად საჭირო საშუალებათა გამოსაძებნად საგანგებო კრება იქმნეს მოწვეული. გამგეობის თავმჯდომარეთ ვ. ა. რიაბუშინსკი იქმნა ამორჩეული. კრების გაგრძელება საღამოსათვის არის დანიშნული.

**ეკატერინოსლავი.** სასამართლოს მიერ ადგილობრივი სავაჭრო ბანკი გაკოტრებულათ იქმნა ცნობილი; საქმის ნაწარმოებში დიდი შეცდომები აღმოაჩინეს.

**ლონდონი.** 26 აპრილს გრძელი მოხსენება კიტჩენერისა იმის შესახებ, რაც მარტის შემდეგ სამხრეთ აფრიკაში გაკეთებულა, ოფიციალურად გამოქვეყნებულ იქმნა. მოხსენებაში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ კაპის ახალშენში შესვლის შემდეგ ბურებმა მდიდარ ახალშენებისაგან თავისი სამხედრო ძალა უექველია განაახლეს. საჭირო საზრდოსა და ცნობებს ინგლისის ჯარების მოძრაობის შესახებ, რომლებიც ბურებს სდევნიდნენ, მცხოვრებთა უმეტესობა ყოველთვის აძლევდაო; ამ ორმა გარემოებამ ბურებს დიდი სამსახური გაუწიაო. ამ წინაზედ კაპის ახალშენის ჩრდილო-დასავლეთით ბურები ერთხანად იქ მდგომარე ინგლისის ჯარების შეწუხებასა სცდილობდნენ, მაგრამ ინგლისელებმა ყველა სიმაგრეები დაიცვეს და ხელი შეუშალეს მტერს შუაგულ ახალშენში შესულიყო.

**ლონდონი.** ოფიციალურის ცნობებით, ერთის კვირის განმავლობაში 47 კაცი გამხდარა შავის ჭირით ავად, რომელთაგანაც 46 მომკვდარა.

**ლონდონი.** ლიბერალთა დასის კრება დღეს მოხდა. კემპბელ-ბანერმანმა განაცხადა თავის სიტყვაში, რომ, თუ დასის მოსპობა არ უნდათ, მის წარმომადგენელთა შორის უთანხმოება უნდა მოისპოს: „ომი უნდა ძლევა-მოსილად იქმნეს დამთავრებული და მშვიდობიანობის ჩამოგდების დროს ამნისტია (განთავისუფლება) პირობათ დაედოს. ინგლისელებს ერთს ხელში უნდა მახვილი ეჭიროთ, ხოლო მეორეში ზეთის ხილის შტო და ეცადნენ მამაც მტერთან შეთანხმდნენ როგორმეო“. ზოგიერთა ორატორების სიტყვის შემდეგ კრებამ კემპბელ-ბანეუმანს ნდობა გამოუცხადა.

**პეტერბურგი.** 26 ივნისი*) ბირჟა. ტფილისის სადგილ-მამულო სათავად-აზნაურო ბანკის 5% გირავნობის ფურცლ. წვრილ-წვრილად $92^3/_4$ იყიდება; იმავე ბანკის $4^1/_2$% ფურცლები და ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის 6% და 5% გირავნობის ფურცლები ბირჟაზედ არა ყოფილა; ა. ი. მანთაშევის ნავთის მწარმოებელ საზოგადოებისა და ამხანაგობის აქციები 223 იყიდება წვრილ-წვრილად.

*) დეპეშა დაგვიანებულია.

**პეტერბურგის ბირჟა, 26 ივნისი.**

| | მყიდველისა მან. | კ. | გამყიდველისა მან. | კ. | გაყიდულისა მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 5%-ნი მომგებიან-გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა | — | „ | — | „ | 219 | |
| $3^1/_2$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა | — | „ | $88^1/_2$ | | — | „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| 5% იმავე ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| $4^1/_2$% იმავე ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — | „ | — | „ | — | „ |
| $4^1/_2$% იმავე საზოგადოებისა | — | „ | — | „ | — | „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | $305^1/_2$ | | — | „ | — | „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | — | „ | — | „ | 219 | |

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ჩემდამო რწმუნებულ სამრევლოის შემდეგ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს ქვენობნის წმიდა გიორგის ეკკლესიას: კოსტა ლოლობერიძემ—დიდი ზარი, ღირებული 300 მანეთად, კირილე კუტუბიძემ—ორი დიდი სასანთლეები, ღირებული 30 მ. 50 კ.

ქვენობნის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი გრიგოლ ღლონტი

## განცხადებანი


ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

ჰიგიენური ბორნო-გლიმოლის საპონი პროვიზორის

**გ. ფ. იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს, ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი ლონდონი 1893 წ. ფასი თითო ნაჭერის 50 კაპ., $^1/_2$ ნაჭერი 30 კაპ. იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. (48—6.—46)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 2 ივლისს ნაშუადღევის 1 საათზედ გამგეობის თანადასწრებით **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა სადეზინფექციო სადგურისათვის ორის ოთახის აგების საქმე. სამუშაო სულ 1378 მან. 63 კაპეიკისაა.

მსურველს შეუძლიან პირობანი გასინჯოს გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე კვირა უქმეებს-გარდა, 9-დგან 2 საათამდე. (3—6—1)